განკარგულება:**g-31. 31232072**
თარიღი:**26/07/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №50

2023 წლის 26 ივლისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი“-სთვის (ს/ნ 233732565) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი“-ს (ს/ნ 233732565), მისი არსებობის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ:

ა) სოფელ ეწერში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - 1320 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა - 374,30 კვ.მ. (ს/კ 27.11.46.001);

ბ) სოფელ ჩიბათში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - 3 139 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობა - 487,20 კვ.მ (ს/კ 27.09.45.002);

გ) ქ. ლანჩხუთში მარჯანიშვილის ქ. N 9-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - 3 186 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობა - 740.10 კვ.მ. (ს/კ 27.06.56.015)

დ) სოფელ მაჩხვარეთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - 3 812 კვ.მ. და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა 1 129,60 კვ.მ. (ს/კ 27.07.41.001);

ე) სოფელ შუხუთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - 5 783 კვ.მ. და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა - 1 342,20 კვ.მ (ს/კ 27.05.46.012);

ვ) სოფელ ხიდმაღალაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - 3 200 კვ.მ. და მასზედ განთავსებულ შენობა-ნაგებობა- 205,10 კვ.მ. (ს/კ 27.15.52.011).

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი